



სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო  
NATIONAL FORENSICS BUREAU

საქართველოს  
შტამბის  
ელექტრონული  
საბუღალტრო  
სისტემა

№ 5003749223

15/06/2023



5003749223

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს  
სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს  
თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ იოსებ  
ოქრომელიძეს

ბატონო იოსებ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N3/20954 მომართვის  
(ბიუროს 2023 წლის 13 აპრილის რეგისტრაციის N8000116023) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის  
N004071423 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 20 ფურცლად;

პატივისცემით,

მამუკა ჯანგულაშვილი

ბიუროს უფროსი



004071423



ექსპერტის დასკვნა № 004071423

### გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმეორება ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საქსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

### ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

#### დამნიშნავი:

სტრუქტურა: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ქვესტრუქტურა: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დასახელება: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

თანამდებობა: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი:

სახელი და გვარი: იოსებ ოქრომელიძე

საფუძველი: განცხადება

#### შემსრულებელი ექსპერტები:

ავთანდილ რომელაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 35 წლის სტაჟით.

### ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ განახორციელოთ - ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. #1-ში შენობა ნაგებობა #1-ის III-IV სართულებზე არსებული უძრავი ქონების (ს/კ #01.12.08.036.076.01.513 და 01.12.08.036.076.01.514), საქსპერტო საინჟინრო დასკვნის მომზადება შენობა-ნაგებობის მდგრადობის დადგენის მიზნით. აღნიშნული დასკვნით დადგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია შენობა-ნაგებობა #1-ის III-IV სართულებზე არსებული ფართობის მდგრადობაზე და ამასთან, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული ფართობის შემდგომი ექსპლუატაცია, ან ხომ არ საჭიროებს სადემონტაჟო სახის სამუშაოებს და ასეთის საჭიროების შემთხვევაში - რამდენად შესაძლებელია მხოლოდ III-IV სართულების სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება.

შემოსვლის თარიღი: 13/04/2023 წ

გასვლის თარიღი: 15/06/2023 წ

### დასკვნა

ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. #1-ში, შენობა ნაგებობა #1-ის III-IV სართულებზე არსებული უძრავი ქონების (ს/კ #01.12.08.036.076.01.513 და 01.12.08.036.076.01.514) ტექნიკური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, საკვლევ სართულებზე დაზიანებები III-IV (მნიშვნელოვანიდან მძიმემდე დაზიანებები - ძალიან მძიმე დაზიანება) ხარისხისაა, ავარიულია და მათი ექსპლუატაცია, ისევე როგორც მთელი შენობის შემდგომი ექსპლუატაცია დაუშვებელია, მხოლოდ III-IV სართულების დემონტაჟი შესაძლებელია, მაგრამ დემონტაჟის მიმდინარეობისას მის დასრულებამდე, უსაფრთხოებიდან გამომდინარე I-II სართულების ექსპლუატაცია უნდა იყოს შეჩერებული.

სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს შესაბამისად დამუშავებული დემონტაჟის პროექტის მიხედვით და



004071423



უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით.

ავთანდილ რომელაშვილი

### გამოკვლევა

2023 წლის 12 ივნისს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. #1-ში, შენობა ნაგებობა #1-ის III-IV სართულებზე არსებული უძრავი ქონების (ს/კ #01.12.08.036.076.01.513 და 01.12.08.036.076.01.514) ტექნიკური მდგომარეობა,

ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. #1-ში მდებარე ოთხსართულიანი შენობა სავარაუდოდ აშენებულია გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში. და განთავსებულია ხელოვნურად მოსწორებულ რელიეფზე. გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა გაბარიტული ზომებით დაახლოებით 19,0x79,0 მ შენობის შიდა კონსტრუქციას წარმოადგენს ტიპური სერიის რკინაბეტონის სამრეწველო ანაკრები კარკასი. სვეტების განივი კვეთი 35,0x50,0 სმ-ია, სვეტებს გააჩნიათ ვუტები (თაროები), რომლებზეც ეყრდნობიან განივი მიმართულების რიგელები განივი კვეთით 40,0x50,0 სმ. სვეტების ზიჯი და მალი 6,0 მ-ია. სართულშუა გადახურვა შესრულებულია რკინაბეტონის ანაკრები ღრუტანიანი ფილებით. გარე შემოსაზღვრავი თვითმზიდი კედლები ამოყვანილია სტანდარტული წითელი აგურით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. სახურავი ბრტყელია და შესრულებულია რულონური ბურულით. (ფოტო 1, 2, 3, 4). დამკვეთის მითითებით კვლევა უტარდება შენობის III და IV სართულებს.

დღევანდელი მდგომარეობით, შენობის ფასადზე მარჯვენა განაპირა მალში წარმოქმნილია ნაპრალისებრი ზხარი, რომლის გახსნილობაც სიმაღლის მატებასთან ერთად იზრდება, იმავე მონაკვეთში, კედელზე გაკრული ბარელიეფის ელემენტები დაძრულია კედლიდან და არსებობს მათი უეცარი ვარდნის საშიშროება, რაც საფრთხის შემცველია (ფოტო 5, 6, 7, 8). ანალოგიური სიტუაციაა ფასადის მარცხენა მონაკვეთშიც მეორე მალთან, მთელ სიმაღლეზე განვითარებულია ნაპრალისებრი ზხარი (ფოტო 9, 10, 11). ფასადის სხვა მონაკვეთებზე, III და IV სართულების დონეზე, კედლის რაფისქვედა მონაკვეთებში ფიქსირდება ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების დახრილი ზხარები (ფოტო 12). ეზოს მხრიდან, უკანა ფასადის მთელ სიმაღლეზე, განაპირა მალეებთან წარმოქმნილია ნაპრალისებრი ზხარები (ფოტო 13, 14, 15, 16, 17, 18, 19). სხვადასხვა მიმართულების დახრილი ზხარები ფიქსირდება ტორსულ კედლებზეც (ფოტო 20, 21). შენობის შიდა სივრცეში, III და IV სართულებზე, ტორსული კედლებიდან განაპირა ორ მალში განვითარებულია ნაპრალისებრი ზხარები (ფოტო 22, 23, 24, 25). სართულშუა გადახურვის ფილები დაძრულია საყრდენებიდან, მათი ჩამოდება რიგელების თაროებზე დაახლოებით 1-2 სმ-ია, რაც დაუშვებელია (ფოტო 26, 27, 28). მესამე სართულზე განაპირა მალში ფილებს არ გააჩნიათ ჩამოდება რიგელებზე და შეყუდებული აქვთ ხის დგარები (ფოტო 29, 30). III და IV სართულებზე არსებობს სართულშუა გადახურვის ფილების უეცარი ვარდნის საშიშროება, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს I და II სართულებზე სართულშუა გადახურვების ნგრევა. აუცილებელია III და IV სართულების აღნიშნულ მონაკვეთებზე, სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე მოწყოს დროებითი საყრდენები. კიბის უჯრედში კედლებზე განვითარებულია ზხარები და კიბის ბაქნები დაძრულია საყრდენებიდან (ფოტო 31, 32). საკვლევი სართულების მრავალ მონაკვეთზე ფიქსირდება ატმოსფერული ნალექების ჩამოვინების კვალი (ფოტო 33, 34), ხოლო შიდა ტიხრებზე წარმოქმნილია სხვადასხვა მიმართულების დახრილი ზხარები.

საკვლევი შენობის გარე შემოსაზღვრავი თვითმზიდი კედლების კონსტრუქციული გადაწყვეტა არ აკმაყოფილებს მოქმედ სეისმურ ნორმებს, კერძოდ: მუხლი 10, პუნქტი 8 - თვითმზიდი კედლის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 12,0 მ-ს, მოცემულ შემთხვევაში კედლის სიმაღლე დაახლოებით 15,0 მ-ია. კედლის სიმაღლის ყოველ 12b (b კედლის სისქე) მანძილზე მოწყობილი უნდა იყოს ანტისეისმური სარტყელი, რაც არ ფიქსირდება, პუნქტი 9-ის თანახმად ტორსული და გრძივი კედლების გადაკვეთაზე, მთელ სიმაღლეზე მოწყობილი უნდა იყოს ანტისეისმური ნაკერი, რაც არ არის მოწყობილი.

ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. #1-ში, შენობა ნაგებობა #1-ის ტექნიკური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით საკვლევი სართულებზე დაზიანებები III-IV ხარისხისაა. III-IV სართულების დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე არსებობს შენობის ტორსული მონაკვეთების ნგრევის საშიშროება რაც I-II სართულების დაზიანებასაც გამოიწვევს. III-IV სართულების დემონტაჟი შესაძლებელია, მაგრამ დემონტაჟის მიმდინარეობისას, მის დასრულებამდე, უსაფრთხოებიდან გამომდინარე I-II სართულების ექსპლუატაცია უნდა იყოს შეჩერებული.

ამრიგად, ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქ. #1-ში, შენობა ნაგებობა #1-ის III-IV სართულებზე არსებული უძრავი ქონების (ს/კ #01.12.08.036.076.01.513 და 01.12.08.036.076.01.514) ტექნიკური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელია და სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით საკვლევი სართულებზე დაზიანებები III-IV



004071423



ექსპერტის დასკვნა № 004071423

(მნიშვნელოვანიდან მძიმემდე დაზიანებები - ძალიან მძიმე დაზიანება) ხარისხისაა, ავარიულია და მათი ექსპლუატაცია, ისევე როგორც მთელი შენობის შემდგომი ექსპლუატაცია დაუშვებელია, მხოლოდ III-IV სართულების დემონტაჟი შესაძლებელია, მაგრამ დემონტაჟის მიმდინარეობისას მის დასრულებამდე, უსაფრთხოებიდან გამომდინარე I-II სართულების ექსპლუატაცია უნდა იყოს შეჩერებული.

სადემონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს შესაბამისად დამუშავებული დემონტაჟის პროექტის მიხედვით და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით.

ავთანდილ რომელაშვილი

**გამოყენებული მასალები**

1. СП-13-102-2003
2. სნწ პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"
3. СНиП 2-01. 07-85\* დატვირთვები და ზემოქმედება.
4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.
5. СНиП III-4-80\* Техника безопасности в строительстве

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია





004071423

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



004071423



ფოტო 3



ფოტო 4





004071423



ფოტო 5



ფოტო 6



004071423



ფოტო 7



ფოტო 8





004071423



ფოტო 9



ფოტო 10



004071423



ფოტო 11



ფოტო 12





004071423



ფოტო 13



ფოტო 14





004071423



ფოტო 15



ფოტო 16



004071423



ფოტო 17



ფოტო 18





004071423



ფოტო 19



ფოტო 20





004071423



ფოტო 21



ფოტო 22



004071423



ფოტო 23



ფოტო 24



004071423



ფოტო 25



ფოტო 26





004071423



ფოტო 27



ფოტო 28



004071423



ფოტო 29



ფოტო 30



004071423



ფოტო 31



ფოტო 32





004071423



ფოტო 33



ფოტო 34



3004074823



მიღება-ჩაბარების აქტი № 3004074823



რეგიონი	თბილისი	დასრულების თარიღი	15/06/2023
---------	---------	-------------------	------------

<b>დოკუმენტი:</b>			
რეგისტრაციის ნომერი:	8000116023	მომსახურების ტიპი:	ჩვეულებრივი
რეგისტრაციის თარიღი:	13/04/2023	საქმის ნომერი:	
ხელშეკრულების ნომერი:	2000171923	ხელშეკრულების თარიღი:	31/01/2023 - 31/01/2024
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	004071423		

<b>ექსპერტიზის დამკვეთი :</b>	
სახელი და გვარი:	იოსებ ოქრომელიძე
პირადი ნომერი:	
სტრუქტურა:	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
ქვესტრუქტურა:	სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
დასახელება:	სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
საიდენტიფიკაციო კოდი:	205005910
თანამდებობა:	სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე
დოკუმენტის შემომტანი:	ნათია ჭკადუა

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 16.01.2023 N14. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე	თანხა
13006. - ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა	1	2000	2000
			ჯამი: 2000.00
			საბოლოო ფასი: 2000.00

<b>შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):</b>	
ავთანდილ რომელაშვილი	
სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი	

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი	მიმღები პირი
	ონლაინ სერვისით რეგისტრირებული
(ხელმოწერა)	ნათია ჭკადუა
	გაცემის თარიღი   15/06/2023